ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის

მუშათა და გლეხთა მთავრობის

კანონთა და განკარგულებათა კრებული

სახალხო კომისართა საბჭოს და ეკონომიური საბჭოს
საქმეთა მმართველობის გამოცემა

1935 წ. თებერვლის 25. № 5 ტფილისი

შინაარსი

სახელმწიფო წყობილება.

21. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს დებულების მე-2 მუხლისა და მე-4 მუხლის „ა“ პუნქტის შეცვლის შესახებ.

22. საქართველოს სსრ სახალხო კომისარიატების საერთო დებულების 1-ლი, მე-3,6, 9,12 და 13 მუხლების შეცვლის შესახებ.

მრეწველობა.

23. ადგილობრივი მრეწველობის სისტემაში სასოფლო-სამეურნეო სასაფქვაოს წამოწყებათა ჩარიცხვის შესახებ.

24. ღვინის დაყენებისა, შენახვისა და გაყიდვის წესების გაუქმების შესახებ.

მიწა, ტყე, წყალი. სოფლის მეურნეობა.

25. „კოლმეურნეობათათვის 1933 წლის იანვრის 1-მდე გაცემული სასოფლო-სამეურნეო სესხის დავალიანების ჩამოწერის შესახებ“ არსებული სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს და ს. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1934 წ. დეკემბრის 23-ის დადგენილების საქართველოს სსრ ტერიტორიაზე ცხოვრებაში გატარების თაობაზე“ 1935 წ. იანვრის 4-ის თარიღით და 15 №-ით გამოცემული საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილების მე-3 მუხლის რედაქციის შეცვლის შესახებ.

სათევზო და სანადირო მეურნეობა.

26. ბორჯომის სანადირო ნაკრძალის მოწყობის შესახებ.

ვაჭრობა. მომარაგება.

27. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1934 წლის ოქტომბრის 3-ის დადგენილებით დაწესებული აპარისტანის მეთამბაქოეთა პურით მომარაგების გადიდებული ხარისხობრივი დიფერენცირებული ნორმების გაუქმების შესახებ.

შრომა.

28. პურისა და ზოგი სხვა პროდუქტის საბარათო სისტემის გაუქმებასთან დაკავშირებით სამუშაო ხელფასის ფონდის გადიდების შესახებ.

29. ეპიდემიებთან ბრძოლისათვის წარვლინებული სამედიცინო პერსონალის შეღავათების შესახებ.

30. მუშათა და მოსამსახურეთა ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესების ფონდებიდან ბავშვთა დაცვის დაწესებულებისათვის გადასადები ანარიცხების შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

განათლება.

31. „საქართველოს სსრ სახელმწიფო წიგნის პალატაში და საქართველოს სახელმწიფო გამომცემლობის სპეციალურ კოლექტორში წარსადგენი ბეჭდვით ნაწარმოებთა სავალდებულო ცალების თაობაზე“ გამოცემული დადგენილების 1-ლი, მე-2 და 3 მუხლების შეცვლის შესახებ.

სასამართლო წყობილება და სამართლის წარმოება.

32. იმ დოკუმენტების ნუსხის დამატების შესახებ, რომლებითაც გადახდევინება სწარმოებს სანოტარო ორგანოების საღსრულებო წარწერების თანახმად.

სახელმწიფო წყობილება

21. დადგენილება ც. ა. კ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს დებულების მე-2 მუხლისა და მე-4 მუხლის „ა“ პუნქტის შეცვლის შესახებ.

ა/ა. სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

შეტანილ იქნეს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს დებულებაში (საქ. სსრ კან. კრ. 1932 წ. მე-9 №-ი, მუხ. 145; 1933 წ. მე-9 № ი, მუხ. 110) შემდეგი ცვლილებები:

1. მე-2 მუხლი მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„2. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს შეადგენენ:

ა) თავმჯდომარე,

ბ) თავმჯდომარის მოადგილენი,

გ) სახალხო კომისრები,

დ) სახელმწიფო საგეგმო კომისიისა და პროფესიონალურ კავშირთა საბჭოს თავმჯდომარენი“.

2. მე-4 მუხლის „ა“ პუნქტი მიღებულ იქნას შემდეგი რედაქციით:

[საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს სხდომებს შეუძლიათ დაესწრონენ სათათბირო ხმის უფლებით: . . .]

„ა) საქართველოს სსრ სახალხო კომისართა მოადგილენი—სახალხო კომისრების ყოფნის დროს, საქართველოს სსრ მთავარი არბიტრი, სსრ კავშირის სახალხო კომისარიატებისა და მათი ადგილობრივი სამმართველოების რწმუნებულნი საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან, საქართველოს სსრ გზატკეცილებისა, ყამირგზებისა და საავტომობილო ტრანსპორტის სამმართველოს უფროსი, ტფილისის საქალაქო საბჭოს და საქართველოს სსრ რესპუბლი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

კანური კოოპერატიული კავშირების თავმჯდომარენი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველი".

სრ. საქ. ც. ა.კ-ის თავმჯდომარის მ. დ. ა. **ს. ჯუღელი.**

სრ. საქ. ც. ა. კ-ის მდივნის მაგ. **კ. ბარბაქაძე.**

1935 წ. იანვრის 26.
ტფილისი.

---

22. დადგენილება ც. ა. კ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისარიატების საერთო დებულების 1-ლი, მე-3, 6, 9, 12 და 13 მუხლების შეცვლის შესახებ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

საქართველოს სსრ სახალხო კომისარიატების საერთო დებულების 1-ლი, მე-3, 6, 9 და 12 მუხლები და 13 მუხლის შესავალი ნაწილი (საქ. სსრ კან. კრ. 1932 წ. მე-19 №-ი, მუხ. 146; 1933 წ. მე-9 №-ი, მუხ. 111) მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„1. საქართველოს სსრ კონსტიტუციის 34 და 48 მუხლების საფუძველზე, სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი, იმ მიზნით, რომ უშუალო ხელმძღვანელობა გაეწიოს სახელმწიფო მმართველობის ცალკეულ დარგებს, რომელნიც საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს გამგებლობაში შედიან, აარსებს შემდეგ სახალხო კომისარიატებს:

1) ადგალობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატს,
2) მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს,
3) შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატს,
4) კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატს,
5) ფინანსთა სახალხო კომისარიატს,
6) განათლების სახალხო კომისარიატს,
7) ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატს,
8) სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატს,
9) იუსტიციის სახალხო კომისარიატს".

„3. ადგილობრივი მრეწველობის, მიწათმოქმედების, შინა-ვაჭრობის, კომუნალური მეურნეობის და ფინანსთა სახალხო კომისარიატები, ექვემდებარებიან რა უშუალოდ სრულიად საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს, მის პრეზიდიუმს და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს, თავის მოქმედებაში ანხორციელებენ აგრეთვე სსრ კავშირის და ა/კსფსრ-ის საერთანადო სახალხო კომისარიატების დირექტივებს".

„6. მე-3 მუხლში აღნიშნული სახალხო კომისარიატების განკარგულება, რაც არ ემყარება სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის, მისი პრეზიდიუმის და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს ხუსტ მიწერილობას, შეიძლება, ამის გარდა, შეაჩეროს, შეცვალოს ან გააუქმოს სსრ კავშირის და ა/კსფსრ-ის სათანადო სახალხო კომისარიატმა, უკეთუ ეს განკარგულება ეწინააღმდეგება სსრ კავშირის და ა/კსფსრ-ის კანონმდებლობას ან მიცემულ დირექტივებს.“

„9. საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატი არის საქართველოს სსრ საერთო-სარესპუბლიკო სახალხო კომისარიატი და განაგებს მისთვის მინდობილ სახელმწიფო მმართველობის დარგს მთლად საქართველოს სსრ ტერიტორიაზე.

ავტონომიურ რესპუბლიკებსა და ავტონომიურ ოლქში აღნიშნულ სახალხო კომისარიატს ჰყავს თავისი რწმუნებულნი, რომელნიც უშუალოდ მას ექვემდებარებიან“.

„12. ადგილობრივი მრეწველობის, მიწათმოქმედების, შინა-ვაჭრობის და კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატები, განაგებენ რა საქართველოს სსრ სახელმწიფო მმართველობის გაერთიანებულ დარგებს, თავიანთ ამოცანებს ავტონომიურ რესპუბლიკებსა და ავტონომიურ ოლქში ანხორციელებენ ამ რესპუბლიკებისა და ოლქის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტების მიერ ადგილობრივი მრეწველობისა, მიწათმოქმედებისა, შინა-ვაჭრობისა და კომუნალური მეურნეობის ხაზით მოწყობილი ადგილობრივი რესპუბლიკანური და საოლქო ორგანოების მეშვეობით“.

„13 (შესავალი ნაწილი). მე-12 მუხლში აღნიშნული სახალხო კომისარიატები ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქის სათანადო რესპუბლიკანური და საოლქო ორგანოების მიმართ“...

სრ. საქ. ც. ა. კ-ის თავმჯდომარის მ. დ. ა. **ხ. ჯუღელი.**

სრ. საქ. ც. ა. კ-ის მდივნის მაგ. **კ. ბარბაქაძე.**

1935 წ. იანვრის 26.
ტფილისი.

მრეწველობა

24.20

23. დადგენილება ს.კ.ს.

ადგილობრივი მრეწველობის სისტემაში სასოფლო-სამეურნეო სასაფქვაოს წამოწყებათა ჩარიცხვის შესახებ.

„ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატის გამგებლობაში სასოფლო-სამეურნეო სასაფქვაოს წამოწყებათა გადაცემის შესახებ“ არსებული

ეროვნული ბიბლიოთეკა

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1934 წ. სექტემბრის 28-ის დადგენილების (სსრკ კან. კრ. 1934 წ. № 49, მუხ. 387) შესაბამისად, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. სასოფლო-სამეურნეო სასაფქვაოს წამოწყებები (წისქვილები და სხვ.), რომელნიც სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტებისა და საქალაქო საბჭოების გამგებლობაში არიან, ჩაირიცხონ ადგილობრივი მრეწველობის სისტემაში. დაეკისროს ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატს მრეწველობის ამ დარგის ხელმძღვანელობა, მოწესრიგება, დაგეგმვა და აღრიცხვა, აგრეთვე წისქვილების მშენებლობისა და რეკონსტრუქციის მოწესრიგება, ხელმძღვანელობა და ამ მშენებლობის მომარაგება საშენი მასალით.

შენიშვნა. აღნიშნული წამოწყებები რჩებიან სათანადო სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტებისა და საქალაქო საბჭოების უშუალო გამგებლობაში.

2. დატოვებულ იქნეს სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადებათა კომიტეტის რწმუნებულის (საქართველოს სსრ-ში) გამგებლობაში სამინდე გამოსაღების მოწესრიგება.

3. დაევალოს ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატს დაამუშაოს და ერთი თვის ვადაზე წარმოუდგინოს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს პროექტი დადგენილებისა იმ ღონისძიებათა შესახებ, რომელნიც უზრუნველჰყოფენ სასოფლო-სამეურნეო სასაფქვაოს ყველა მოქმედი წამოწყების რემონტს და აგრეთვე იმ უმოქმედო წისქვილების რემონტს, რომელთაც უმნიშვნელო შეკეთება სჭირდებათ.

4. დაევალოს ფინანსთა სახალხო კომისარიატს:

ა) გამოსცეს ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატთან შეთანხმებით იმ სახსრის შენახვისა და მიზნობრივი ხარჯვის წესები, რაც უნდა გადაირიცხოს სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტებისა და სასოფლო საბჭოების სასარგებლოდ სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს და სკ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1935 წ. იანვრის 17-ის დადგენილებით სასაფქვაო წამოწყებათა სასყიდელზე სახელმწიფოსათვის ჩასაბარებელ მინდზე დაწესებული წანამატიდან;

ბ) იხმაროს ღონისძიებანი, რათა ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატის განკარგულებაში დაუყოვნებლივ იქნეს გადარიცხული სოფლის სასაფქვაო საქმის ტექნიკურად ხელახალი გაწყობისა და ახალი წისქვილების მშენებლობის ფონდის მთელ საქართველოს სსრ-ში შეკრეფილი და 1934 წელს გამოუყენებელი თანხა.

5. დაარსებულ იქნეს ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატის შედგენილობაში სასოფლო-სამეურნეო სასაფქვაო საქმის სექტორი 5 საშტატო ერთეულით.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარის მოადგ. **მ. ტოროშელიძე.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს საქმეთა მმართველი **ა. ქავთარაძე.**

1935 იანვრის 31. № 132.
ტფილისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

24. დადგენილება ც. ა. კ.

ღვინის დაყენებისა, შენახვისა და გაყიდვის წესების გაუქმების შესახებ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1927 წ. აპრილის 20-ის დადგენილებით დამტკიცებული წესები ღვინის დაყენებისა, შენახვისა და გაყიდვის შესახებ (საქ. სსრ კან. კრ. 1927 წ. № 4, მუხ. 67) გაუქმებულ იქნეს, ამ საკითხის საუწყებო წესით მოწესრიგების შემოღების გამო.

სრ. საქ. ც. ა. კ-ის თავმჯდომარის მ. დ. ა. ს. **ჯუღელი.**

სრ. საქ. ც.ა.კ-ის მდივნის მაგ. კ. **ბარბაქაძე.**

1935 წ. იანვრის 26.
ტფილისი.

მიწა, ტყე, წყალი. სოფლის მეურნეობა

25. დადგენილება ს. კ. ს.

„კოლმეურნეობათათვის 1933 წლის იანვრის 1-მდე გაცემული სასოფლო-სამეურნეო სესხის დავალიანების ჩამოწერის შესახებ“ არსებული, სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს და ს. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1934 წ. დეკემბრის 23-ის დადგენილების საქართველოს სსრ ტერიტორიაზე ცხოვრებაში გატარების თაობაზე“ 1935 წ. იანვრის 4-ის თარიღით და 15 №-ით გამოცემული საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილების მე-3 მუხლის რედაქციის შეცვლის შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

„კოლმეურნეობათათვის 1933 წლის იანვრის 1-მდე გამოცემული სასოფლო-სამეურნეო სესხის დავალიანების შესახებ“ არსებული, სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს და ს.კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1934 წ. დეკემბრის 23-ის დადგენილების საქართველოს სსრ ტერიტორიაზე გატარების თაობაზე“ 1935 წ. იანვრის 4-ის თარიღით და 15 №-ით გამოცემული საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილების (საქ. სსრ კან. კრ. 1935 წ. № 2, მუხ. 10; „კომუნისტი“ 1935 წ. იანვრის 14, № 13) მე-3 მუხლი მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„3. დაევალოს სასოფლო-სამეურნეო ბანკის საქართველოს კონტროლს 1935 წლის იანვრის 25-მდე გამოარკვიოს კოლმეურნეობათათვის ჩამოსაწერ სესხზე გადაუხდელი პროცენტების საერთო ჯამი მთელ საქართველოს სსრ-ში და ეს ცნობები წარმოუდგინოს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თვითეულ რაიონში, თვითეული კოლმეურნეობისათვის და აგრეთვე მთლად რესპუბლიკაში ფაქტიურად ჩამოსაწერი დავალიანების თანხების შესახებ ცნობებთან ერთად“.

საქ. სსრ ს. კ. ს.-ოს თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი.**

საქ. სსრ საქმეთა მმართველის მაგ. **ვ. ლუნკევიჩი.**

1935 წ. იანვრის 17. № 41.

ტფილისი.

სათევზო და სანადირო მეურნეობა

26. დადგენილება ს. კ. ს.

ბორჯომის სანადირო ნაკრძალის მოწყობის შესახებ.

ძვირფას სანადირო და სამრეწველო ცხოველთა, კერძოდ კეთილშობილი ირმისა, ბეზოარ-თხისა, დაღისტნის ფორმის ჯიხვისა, ყოველგვარი კვერნისა, კავკასიური ტყის-ქათმისა და სხვა მისთ. შენარჩუნების, გამრავლების და შემდგომ სამეურნეოგამ ოყენებისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნის მიზნით, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო, ა/კსფსრ სანადირო მეურნეობის დროებითი დებულების მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად (ა/კსფსრ კან. კრ. 1933 წ. 1-2 №-ი, მუხ. 2), ადგენს:

1. დაარსებულ იქნეს ბორჯომის სანადირო ნაკრძალი რესპუბლიკანური მნიშვნელობისა შემდეგ საზღვრებში ცოცხალი მიჯნების მიხედვით: სამხრეთით და სამხრეთ-აღმოსავლეთით—მდინარე მტკვარი (სოფელ ქვაბისხევიდან სოფელ რველამდე), აღმოსავლეთით და ჩრდილოეთ-აღმოსავლეთით—სადგურ რველიდან ვანისხევის ხეობისა და ლომის-მთის ძირის გაყოლებით საჩინიანისათვის ადგილამდე, დასავლეთით—საჩინიანისთავიდან ზორეთის ქედის გაყოლებით მდინ. მტკვრამდე,—ფართობით 14.000 ჰექტარამდე.

2. ნაკრძალის ტერიტორიაზე ნადირობა და მიწის, ტყისა და წყლით დაფარული ფართობების გამოყენება, თუ არა თვით ნაკრძალის მიზნებისათვის, გარდა იმ შემთხვევებისა, რაც გათვალისწინებულია ა/კსფსრ სანადირო მეურნეობის დროებითი დებულების მე-8 მუხლით, აგრეთვე ქვემოთ აღნიშნული შემთხვევებისა, აკრძალულია სამუდამოდ.

შენიშვნა. საქართველოს სსრ მთავარ საკურორტო სამმართველოს ენარჩუნება უფლება განახორციელოს ნაკრძალის ტერიტორიაზე დამტკიცებული სატყეო-სამეურნეო გეგმით გათვალიწინებული ღონისძიებანი.

3. ბორჯომის სანადირო ნაკრძალი საქართველოს სსრ მთავარი საკურორტო სამმართველოს გამგებლობაშია, ინახება მისი ხარჯით და განიგება კანონით დადგენილი წესისამებრ (ა/კსფსრ სანადირო მეურნეობის დროებითი დებულების მე-6 მუხლი).

4. ამა დადგენილების მე-2 მუხლის დარღვევა გამოიწვევს პასუხისმგებლობას საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 87 და 89 მუხლების თანახმად.

5. წინადადება მიეცეს სტალინისის, ბორჯომის და ახალციხის რაიონების სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს—იხმარონ ღონისძიებანი, რათა ნაკრძალის გარემო მცხოვრები მოსახლეობა ფართოდ გაეცნოს ამა დადგენილებას.

საქ. სსრ ს. კ. ს.-ოს თავმჯდომარის მოადგ. **მ. ტოროშელიძე.**

საქ. სსრ ს. კ. ს.-ოს საქმეთა მმართველი **ა. ქავთარაძე.**

1935 წ. იანვრის 26. № 136.
ტფილისი.

ვაჭრობა. მომარაგება.

27. დადგენილება ს. კ. ს.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1934 წლის ოქტომბრის 3-ის დადგენილებით დაწესებული, აჭარისტანის მეთამბაქოეთა პურით მომარაგების გადიდებული ხარისხობრივი დიფერენცირებული ნორმების გაუქმების შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. გაუქმებულ იქნეს მეთამბაქოეთა პურით მომარაგების გადიდებული ხარისხობრივი დიფერენცირებული ნორმები, რაც შემოღებული იყო საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1934 წ. ოქტომბრის 3-ის დადგენილებით „1934 წლის მოსავლის ჩასაბარებელი თამბაქოს ხარისხოვნების მიხედვით პურის გაცემის ნორმების დიფერენციაციის თაობაზე გამოცემული დადგენილების შეცვლის შესახებ“ (საქ. სსრ კან. კრ. 1934 წ. № 31, მუხ. 234).

2. წინადადება მიეცეს „საქთამბაქონედლეულს“ შემდგომი ანგარიშები 1934 წლის მოსავლის თამბაქოს ჩამბარებლებს აჭარისტანში გაუსწოროს საქართველოს სსრ მეთამბაქოების რაიონებისათვის დაწესებული ნორმების მიხედვით.

საქ. სსრ ს. კ. ს.-ოს თავმჯდომარის მოადგ. **მ. ტოროშელიძე.**

საქ. სსრ ს. კ. ს.-ოს საქმეთა მმართველი **ა. ქავთარაძე.**

1935 წ. იანვრის 31. № 93.
ტფილისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲨᲠᲝᲛᲐ

28. ᲓᲐᲓᲒᲔᲜᲘᲚᲔᲑᲐ ს.კ.ს.

პურისა და ზოგი სხვა პროდუქტის საბარათო სისტემის გაუქმებასთან დაკავშირებით სამუშაო ხელფასის ფონდის გადიდების შესახებ.

„გამომცხვარი პურის, ფქვილის და ბურღულის საბარათო სისტემის და ტექნიკური კულტურების დასაქონლების სისტემის გაუქმების“ შესახებ გამოცემული სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1934 წლის დეკემბრის 7-ის დადგენილებასა (სსრკ კან. კრ. 1934 წ. № 61, მუხ. 445), ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1935 წლის იანვრის 23-ის დადგენილებასა და აგრეთვე 1935 წლისთვის სამუშაო ხელფასის ფონდის გადიდების შესახებ გამოცემულ შემდგომ დირექტივებთან დაკავშირებით, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

I. დაწესებულ იქნეს სამუშაო ხელფასის მომატების შემდეგი ნორმები:

1) ყველა დაწესებულებასა და ორგანიზაციაში, გარდა ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატისა:

	მუშები და მათთან გათანაბრებული პირები	მოსამსახურეები
ა) I სია	13 მან.	9 მან.
სამშენებლო მუშათა I სია	12 მან.	9 მან.
ბ) II სია	7 მან.	6 მან.
გ) III სია	6 მან.	5 მან.
დ) დაწყებითი და საშუალო (სრული და არასრული) სკოლების მასწავლებელთათვის	7 მან. 50 კაპ.	

2) ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატის ხაზით:

მძიმე მრეწველობა:

ა) ცხელ და მავნე სამუშაოები:
I სია . . . . . 17 მან.

ბ) დანარჩენი სამუშაოები: I სია . . . 15 მან.

გ) მოსამსახურეები:
I სია . . . . . 10 მან. 50 კაპ.

დ) სამშენებლო სამუშაოები:
I სია . . . . . 12 მან.

მსუბუქი მრეწველობა:

ა) მუშა-ფეიქრები. II სია . . . . . 15 მან.

ბ) მოსამსახურე-ფეიქრები . . 11 მან.

გ) მსუბუქი მრეწველობის დანარჩენი მუშები . . . . . 9 მან.

დ) დანარჩენი მოსამსახურეები 7 მან.

ადგილობრივი მრეწველობის ყველა სხვა ჯგუფში მიღებულ იქნეს მომატების ნორმები, რაც შეთანხმებული იქნება ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატსა და ფინანსთა სახალხო კომისარიატს შორის.

II. გადიდებულ იქნეს 1935 წლის იანვრის 1-დან რესპუბლიკანური და ადგილობრივი ქვემდებარეობის სარეწაოთა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა მუშებისა და მოსამსახურეების სამუშაო ხელფასი, უმაღლესი სასწავლებლების, ტექნიკუმების და მუშათა ფაკულტეტების მოსწავლეთა სტიპენდიები; ამ მიზნისათვის მიეცეს ქვემოჩამოთვლილი თანხები საქართველოს სსრ უწყებასა და ორგანიზაციებს:

[იხ. 71 გვ.].

III. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ უწყებებსა და ორგანიზაციებს გაანაწილონ მათთვის ამა დადგენილების მე-II მუხლის თანახმად მიცემული ფონდები მეურნეობის, კულტურის, ჯანმრთელობისა და მმართველობის ცალკეულ დარგებს შორის, მიაწოდონ-რა ეს ფონდები მათ ქვემდებარე დაწესებულებებს და ორგანიზაციებს სამი დღის ვადაზე და იმავე დროს წარუდგინონ საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატს განაწილება სახელმწიფო ადგილობრივი ბიუჯეტების სათანადო კარისა, პარაგრაფისა და მუხლის მიხედვით.

IV. დაწესებულ იქნეს, რომ ყველა მუშისა და მოსამსახურის სამუშაო ხელფასის გადიდება ჩატარებულ უნდა იქნეს სატარიფო განაკვეთებისა და ხელფასის პირდაპირი გადიდების გზით.

V. შეთავსების შემთხვევაში მომატებული ხელფასი უნდა გაიცეს მარტოოდენ ძირითად სამუშაოს ადგილზე.

აიკრძალოს ერთი და იმავე მომუშავის მიერ ერთზე მეტი მომატების მიღება.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარის მოადგ. **მ. ტოროშელიძე.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს საქმეთა მმართველი **ა. ქავთარაძე.**

1935 წ. თებერვლის 9. № 114.

ტფილისი.

921.4

39. დადგენილება ს კ.ს.

ეპიდემიებთან ბრძოლისათვის წარვლინებული სამედიცინო პერსონალის შეღავათების შესახებ.

სხვადასხვა გადამდებ ავადმყოფობასთან წარმატებით ბრძოლისათვის სათანადო პირობების შესაქმნელად საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

ხოლერასთან, პარტახტიან სახადთან, შექცეულ საოფლესთან, ქუნთრუშასთან, კეთრთან, ციმბირის წყლულთან, ქოთაოსთან და მალარიასთან საბრძოლ-

[მე-II მუხლისთვის (გვ. 79)]

ეროვნული ბიბლიოთეკა

№№ რიგ.	უწყებები და ორგანიზაციები	თანხა მანეთობით	შენიშვნა
1.	ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი	29.280	
2.	სახალხო კომისართა საბჭო	75.960	
3.	სახ. საგეგმო კომისია	9.864	
4.	მსუბუქი მრეწვ. სახკომი	5.546.000	
5.	მიწსახკომი	2.336.316	
6.	განსახკომი	5.080.674	
7.	ჯანსახკომი	1.347.732	
8.	კომუნ. მეურნ. სახკომი	62.556	ადგილობრივი საბჭოების კომ. და საბინაო მეურნეობათა გარდა
9.	სოც. უზრ. სახკომი	4.512	
10.	იუსტსახკომი	27.456	
11.	შინავაჭრ. სახკომი	8.256	
12.	ფინსახკომი	65.820	
13.	საქგზატრანსი	161.256	
14.	მთავ. საკურ. სამმართველო	450.876	
15.	სახკინმრეწვი	123.108	
16.	საფოთიაქო სამმართველო	171.924	
17.	სახელგამი	64.212	
18.	საქკურორტმშენი	298.380	
19.	საბინაო კავშირი	88.224	
20.	საქ. წით. ჯვრის საზ-ის ც. კ.	160.056	
21.	ადგილობრივი საბჭოების კომუნ. და საბინაო მეურნ.	1.571.016	
22.	სამმ. აპარატი ადგილ. ბიუჯეტით . . .	788.676	მიწსახკომის ორგანოების გარდა.
23.	აბკურორტმშენი	61.692	
24.	მთავრ. სახლის მშენებლობა სოხუმში. .	24.780	
25.	სოხუმის საქალაქო საბჭოს მშენებლობა	105.468	
26.	მთავრ. სახლის მშენებლობა ბათომში .	17.280	
27.	ბათომის საქალაქო საბჭოს მშენებლობა	106.080	
28.	კომუნბინმშენი	62.160	
29.	სხვადასხვა გამომცემლობა	14.004*)	*) პარტგამომცემლობა, „ტექნიკა და შრომა", „ფედერაცია".
30.	სხვადასხვა ორგანიზაციები	136.382	
	ს უ ლ	19.000.000	

ეროვნული ბიბლიოთეკა

ველად (განსაკუთრებით დაავადებულ რაიონებში) დროებითი მუშაობისათვის სპეციალურად წარვლინებულ სამედიცინო პერსონალს, შეენარჩუნება-რა მთლად ჯამაგირი, რასაც იგი იღებს ძირითადი სამსახურის ადგილას, ეძლევა აგრეთვე დღიური სარგო ჯამაგირის $^1/_{12}$ რაოდენობით—ხოლერასთან პარტახტიან სახადთან და შექცეულ საოფლესთან ბრძოლისათვის წარვლინების დროს და $^1/_{18}$ რაოდენობით—დანარჩენ ზემოაღნიშნულ დაავადებასთან ბრძოლისათვის წარვლინების დროს.

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარის მოადგ. **მ. ტოროშელიძე.**
საქ. სსრ ს.კ.ს-ოს საქმეთა მმართველი **ა. ქავთარაძე.**

1935 წ. იანვრის 26. № 134.
ტფილისი.

---

30. დადგენილება ს.კ.ს.

მუშათა და მოსამსახურეთა ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესების ფონდებიდან ბავშთა დაცვის დაწესებულებებისათვის გადასადები ანარიცხების შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. ის თანხები, რაც გამოიყოფა მუშათა და მოსამსახურეთა ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესების ფონდებიდან ბავშთა დაცვის დაწესებულებათა მშენებლობისა და შენახვისათვის (მუხლი მე-2 ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1928 წ. ნოემბრის 19-ის დადგენილებისა „მუშა-ქალთა ბავშვების ბაგებით, ბაღებით და საბავშვო დაცვის სხვა დაწესებულებებით უზრუნველყოფისათვის საჭირო ღონისძიებების შესახებ“ (ა/კსფსრ კან. კრ. 1928 წ. № 20, მუხ. 236; 1930 წ. № 2, მუხ. 8; № 7, მუხ. 93), სათანადო დაწესებულებებს, საწარმოებს და ორგანიზაციებს შეაქვთ საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატის სპეციალურ მიმდინარე ანგარიშზე საქართველოს სსრ კომუნალური ბანკის ადგილობრივ დაწესებულებებში.

2. აღნიშნული თანხები დაწესებულებებს, საწარმოებს და ორგანიზაციებს შეაქვთ 1-ლი მუხლით გათვალისწინებულ მიმდინარე ანგარიშზე თანასწორ წილად ოთხი თვის განმავლობაში, დაწყებული მეოთხე თვიდან საანგარიშო წლის დამთავრების შემდეგ.

უკეთუ ამ ვადისათვის ამა თუ იმ დაწესებულების, საწარმოს და ორგანიზაციის ბალანსი ჯერ კიდევ დამტკიცებული არ იქნება, შეტანილ უნდა იქნეს ავანსები იმ მოგების თანხის მიხედვით, რაც აღნიშნულია დასამტკიცებლად წარდგენილ ბალანსში.

3. უკეთუ ანარიცხი მიმდინარე ანგარიშზე არ იქნება შეტანილი დაწესებული ვადისათვის, შეუტანელ თანხას დაერიცხება კანონით გათვალისწინებული პროცენტები და საურავი.

4. უწყებულ რაიონში მიმდინარე ანგარიშზე შემოსული ანარიცხების სა-ერთო თანხიდან 60% გადაიდება რაიონში არსებული საბავშვო ბაგების მშენებლობისა და შენახვისათვის, ხოლო 40%—ამ რაიონის სხვა საბავშვო დაწესებულებების მშენებლობისა და შენახვისათვის.

5. მე-4 მუხლში აღნიშნული თანხები საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატის სარაიონო ორგანოებმა უნდა გადარიცხონ სახალხო განათლებისა და ჯანმრთელობის სარაიონო განყოფილებათა განკარგულებაში იმ გეგმების თანახმად, რომელთაც დაამტკიცებენ საქართველოს სსრ განათლებისა და ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატები და ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქის განათლებისა და ჯანმრთელობის ცენტრალური ორგანოები, პროფესიონალურ კავშირთა საბჭოებთან შეთანხმებით.

6. ამ დადგენილებით გათვალისწინებული სახსრების მიმდინარე ანგარიშზე შეტანის, შენახვისა და ხარჯვის წესების დარღვევა დამნაშავე თანამდებობის პირთათვის გამოიწვევს პასუხისმგებლობას სისხლის სამართლის ან სადისციპლინო წესით და, გარდა ამისა, სამოქალაქო პასუხისმგებლობას ამ პირთა მოქმედებით გამოწვეული ზარალისათვის.

7. ინსტრუქციას ამა დადგენილების შესაფარდებლად გამოსცემს საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატი, საქართველოს სსრ განათლებისა და ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატებთან შეთანხმებით.

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარის მოადგ. **მ. ტოროშელიძე.**
საქ. სსრ ს.კ.ს-ოს საქმეთა მმართველი **ა. ქავთარაძე.**

1935 წ. თებერვლის 5. № 106.
ტფილისი.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის" 37 №-ში 1935 წ. თებერვლის 12.

გ ა ნ ა თ ლ ე ბ ა

31. დადგენილება ს.კ.ს.

„საქართველოს სსრ სახელმწიფო წიგნის პალატაში და საქართველოს სახელმწიფო გამომცემლობის სპეციალურ კოლექტორში წარსადგენი ბეჭდვით ნაწარმოებთა სავალდებულო ცალების თაობაზე" გამოცემული დადგენილების 1-ლი, მე-2 და 3 მუხლების შეცვლის შესახებ.

ამიერკავკასიის ფუნდამენტალური ბიბლიოთეკისათვის მოსკოვში და მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტის ტფილისის ფილიალის ბიბლიოთეკისათვის ა/კსფსრ ტერიტორიაზე გამოსულ გამოცემათა მიწოდების შესახებ გამოცემული ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1934 წ. სექტემბრის 11 და დეკემბრის 3-ის დადგენილებების შესაბამისად, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

„საქართველოს სსრ სახელმწიფო წიგნის პალატაში და საქართველოს სახელმწიფო გამომცემლობის სპეციალურ კოლექტორში წარსადგენი ბეჭდვით ნაწარმოებთა სავალდებულო ცალების შესახებ“ 1934 წ. აპრილის 7 გამოცემულ დადგენილებაში (საქ. სსრ კან. კრ. 1934 წ. მე-10 №-ი, მუხ. 99) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. 1-ლი მუხლის „ა“ პუნქტში ციფრი „47“ შეიცვალოს ციფრად „49“, „გ“ პუნქტში ციფრი „45“ შეიცვალოს ციფრად “47“, ხოლო „დ“ პუნქტში ციფრი „26“ შეიცვალოს ციფრად „27“.

2. მე-2 მუხლში დაემატოს:

მე-III კარს—16¹ პუნქტი შემდეგი რედაქციით:

„16¹) ამიერკავკასიის ფუნდამენტალურ ბიბლიოთეკას მოსკოვში“;

მე-XII კარს—33¹ პუნქტი შემდეგი რედაქციით:

„33¹) მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტის ტფილისის ფილიალის ბიბლიოთეკას ტფილისში“.

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარის მოადგ. **მ. ტოროშელიძე.**

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს საქმეთა მმართველი **ა. ქავთარაძე.**

1935 წ. იანვრის 26. № 133.
ტფილისი.

სასამართლო წყობილება და სამართლის წარმოება

32. დადგენილება ს.კ.ს.

იმ დოკუმენტების ნუსხის დამატების შესახებ, რომლებითაც გადახდევინება სწარმოებს სანოტარო ორგანოების სააღსრულებო წარწერების თანახმად.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

დაემატოს „ა“ კარს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1932 წ. მაისის 23-ის დადგენილებისას „იმ დოკუმენტების შესახებ, რომლებითაც გადახდევინება სწარმოებს სანოტარო ორგანოების სააღსრულებო წარწერების თანახმად“ (საქ. სსრ კან. კრ. 1932 წ. მე-15 №-ი, მუხ. 126; 21 №-ი, მუხ. 208; 24 №-ი, მუხ. 256; 1933 წ. 1-ლი №-ი, მუხ. 26; 1934 წ. 1-ლი №-ი, მუხ. 35; მე-14 №-ი, მუხ. 138; 25 №-ი, მუხ. 199; 33 №-ი, მუხ. 254), 34 პუნქტი შემდეგი შინაარსისა:

[სანოტარო კონტორები და მათი მონაცვლე ორგანოები (სახელმწიფო ნოტარიატის 1-ლი მუხლი—საქ. სსრ კან. კრ 1928 წ. მე-16 №-ი, მუხ. 157) გაუკეთებენ სააღსრულებო წარწერებს შემდეგ დოკუმენტებს:

ა. ფულის გადასახდევინებლად: . . . . .]

ეროვნული ბიბლიოთეკა

„4) სრულიად საკავშირო შენაერთის „ზაგოტზერნოს“ და მისი ფილიალების გაუნაღდებელ ანგარიშებს, რაც მიმართულია მარცვლეულის მყიდველებისა და ჩამბარებლებისადმი დადგენილ ვადაზე დაუბრუნებელი სატომრო ტარის ღირებულების თაობაზე და ათჯერადი რაოდენობის ჯარიმაზე აღნიშნული ტარის დაბრუნების ვადის გადაცილების გამო, უკეთუ ამასთანავე წარდგენილია: ა) სრულიად საკავშირო შენაერთის „ზაგოტზერნოს“ ან მისი ფილიალის ანგარიში; ბ) სრულიად საკავშირო შენაერთის „ზაგოტზერნოს“ ან მისი ფილიალის ცნობა ანგარიშის გაგზავნის დღისა და გადამხდელის მიერ მისი გაუნაღდებლობის შესახებ, თანაც ფოსტის ბარათის დართვით, რომ ანგარიში მიღებულია გასაგზავნად, ან გადამხდელის ხელწერილის წარდგენით, თუ ანგარიში მას უშუალოდ ჩაჰბარდა; გ) შეტყობინება მყიდველისათვის, რომ პროდუქცია გაეგზავნა მას ტარითა, ხოლო პურის ჩამბარებლების მიმართ— დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს ტარის გაცემას და ვადას, რაც დადებულია ამ ტარის დაბრუნებისათვის“.

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარის მოადგ. **მ. ტოროშელიძე.**

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს საქმეთა მმართველი **ა. ქავთარაძე.**

1935 წ. იანვრის 26. № 135.
ტფილისი.

ფასი 20 კაპ.

გამომცემელი საქ. სსრ. ს.კ. ს-ოს / საქმეთა მმართველობა 1935 წ. № 9. პ/მ. რედაქტორი **ე. გამრეკელი**

ქაღალდის ფორმატი 62×94 სანტ; 1 ბეჭდვ. ფურც.; 1 ბეჭდვ. ფურც; 48.500 სტამბ. ნიშანი
გადაეცა სტამბას 10/II; ხელმოწერილია დასაბეჭდად 20/II; ტირაჟი 1.800.

მთავ. რწმუნ. № 8711. საქ. სსრ სახ. კომ. საბჭოს სტამბა. შეკვ. № 298